

1964 სეპტემბერი

საბავშვო ჟურნალი №9

572 / 1964/2



საბავშვო ჟურნალი



572
1964/2

სკოლის ბავშვები



ჰანსულ ჩაჩუკიანი

გაიხარეს მთებმა, ზვრებმა,
ღურჯად გადაჩითულებმა.
მოგვახარეს სექტემბერი,
ენატკბილმა ჩიტუნებმა.

წიგნი კურღლეს,
ციყვსაც წიგნი,
დიდი ჩანთა დათუნისა,
მზადებაა, ყველა ჩქარობს,
ყველა საქმით გართულიბ.

სექტემბერმა უთენია
გაუცინა ღია სარკმელს,
კოდალა კი უკაკუნებს—
სკოლისაკენ,
სკოლისაკენ!..

**მიდიან,
მიუსარიათ**

ალეკო მანგალია

სკოლისკენ მიუსარიათ,
მიიჩქარიან ორნი,
ვინ მიუბღუბათ შეგზურად.
ანი, ბანი თუ დანი?

მიდიან, მიუსარიათ...
თას მიჭყეობან ნიბეს,
ეს ბიჭი მსუჭაბუკია.
ეს გოგონა კი შია.

მიდიან, თბილი გულებით
მსობლის ალფრესი შიბქეთ.
და ამ ხუვარულ პატარებს
ჩუენი იმედი ჰქვით!

ნახატები ჯ. ლოლუასი



9368



მამაჩემი

გეოლოგი

ლევით ჯაპანიძე

ნახატები გუგამ ბელოჯინისა

ჩვენს საბავშვო ბაღში ყველა თავის დედაზე ან მამაზე ლაპარაკობს.

— დედაჩემი ექიმია!—ამბობს თამუნა და თავმომწონედ იღიმება.

— ჩემი მამა ფეხბურთელია! — ამბობს პაატა და ფეხებს იქნევს.

— მამაჩემი შოფერია!—ამბობს ჰუსეინა და მანქანასავით გუგუნებს.

— მამაჩემი კოსმონავტია!—ამბობს ბესო და ყველა იცინის. ვინ არ იცის, რას აკეთებს კოსმონავტი, მაგრამ იმიტომ იცინიან, რომ ბესოს ტყუილის თქმა უყვარს. მამამისი მონადირეა. ერთხელ, როცა ჩვენი ბაღი მანგლისში იყო სააგარაკოდ, ერთმა მონადირემ ციყვი მოაკლა. ყველამ დავინახეთ, როგორ ჩამოვარდა ხიდან საწყალი ციყვი და იმის მერე მონადირე არავის გვიყვარს. ბესოც ამიტომ ამბობს, მამაჩემი კოსმონავტიაო.

— ჩემი მამა გეოლოგია!—ვამბობ და ბავ-

შვები ჩუმდებიან. ყველა მე მიყურებს.

— გეოლოგი რაღაა, პა, გუგა?—მეკითხება ჰუსეინა.

— მართლა, რა არის გეოლოგი?—მეკითხება თამუნაც.

— გეოლოგი მამაჩემია!—ვამბობ მე და მიხარია, რომ ასეთი მამა მყავს.

ჩემს მამას ერთი გრძელტარხანი ჩაქუჩი აქვს. იმ ჩაქუჩით ქვებს ტეხავს ხოლმე. მერე კარგ ნატეხებს არჩევს და მწვანე ზურგჩანთაში ყრის. ზურგჩანთა ისეთი ღიღია, რომ ხანდახან მეც შიგ ვჯდები და მამა, ხუმრობით, ზურგზე წამომიკიდებს ხოლმე.



მამა ყოველ ზაფხულს მთაში დადის. ერთ-
ხელ თან წამიყვანა, იმიტომ რომ მთელ ზამ-
თარს ჭკვიანად ვიქცეოდი.

ჯერ მატარებლით ვიმზავრეთ, მერე —
მანქანით. ერთ სოფელში, რომელშიც ბევრი
ცხენე-კოშკი იდგა, მამას ორი ცხენი მოუყვა-
ნეს, თეთრი და შავი. თეთრზე მამა შეჯდა
და წინ მე შემისვა. შავზე ბექნუ შეჯდა.
ცხენების პატრონი, წვერებიანი კაცი. ბექ-
ნუს სევანური ქული ეხურა და თვითონაც სე-
ვი იყო.

მთელი დღე აღმართ-აღმართ ვიარეთ.
ბევრი ძეხნის შემდეგ მამამ პატარა, სწო-
რი ადგილი იპოვა და ცხენების პატრონმა
ბექნუმ კარავი გაშალა.

მთელი ზაფხული მამა, ბექნუ და მე კა-
რავეში ვცხოვრობდით, დილაადრიახანდ ცხე-
ნებით კიდევ უფრო მაღლა მივდიოდით იქ,
სადაც თავდებოდა ბალახი და იწყებოდა
კლდე. ჩემი მამა გეოლოგია და ყოველ ნა-
ბიჯზე ახალ-ახალ, სასარგებლო ქვებს პოუ-
ლობდა.

ერთხელ ისეთი უცნაური ქვა ვიპოვე,
რომ ქვას არც კი ჰგავდა. შუშასავით გაშკივ-
რულე იყო და ჩაის ქიქასავით გათლილი.

— ყოჩაღ! — შემაქო მამამ, — შენ ნამდვილი
გეოლოგი ხარ!

არ ვიცოდი, რა ერქვა ჩემს ნაპოვნ ქვას.

— ეს მთის ბროლია, — ამისხნა მამამ, — ამ
ქვისაგან ლამაზ ქურქულს აკეთებენ.

გამეხარდა, რომ ასეთი სასარგებლო ქვა
ვიპოვე.

ერთხელ ცხენების პატრონმა ბექნუმაც
იპოვა რაღაც ქვა, რომელიც სულ არ ჰგავდა
მთის ბროლს. ის ქვა თეთრი იყო და რასაც
მიეკარებოდა, ყველაფერს თეთრად თხუბნიდა.

— ეს ცარცის ქვაა, — მითხრა მამამ, — რო-
ცა სკოლაში წახვალ, ნახავ, რომ იქ მასწავ-
ლებელი დაფაზე ცარცით დაწერს ასოებს.
ავდექი და, ცარცის ერთი ნატეხი ჯიბეში
ჩავიგდე.

ცოტა ხნის მერე მამამ ნაცრისფერი ქვები
იპოვა. ეს ქვები სათამაშო კუბიკებს ჰგავდა.

— ბექნუ, უთხრა მამამ ცხენების პატ-
რონს, — აბა, თუ იცი, რა არის ეს?

— რა არის და, მარილია, — უბასუხა ბექ-
ნუმ.

მე მეგონა ბექნუმ იხუმრა და გავიცინე,
მაგრამ მამამ თქვა:

— მართალია, ეს ქვამარილია!

ავიღე ერთი კუბიკი და გავლოკე. კუბიკს
მლაშე გემო ჰქონდა. მაშინ დავიჯერე, რომ
ეს მართლა მარილი იყო.

— ამ ქვას დაფხენიან, გაწმენდენ და გა-
მოვა სუფრის მარილი, — ამისხნა მამამ.

ერთი კუბიკი ჯიბეში ჩავიგდე.

როცა კარავში ვბრუნდებოდით, გზაზე
დიდი და თეთრი კლდე შემოგვხვდა. მამამ
ჩაქუჩით პატარა ნატეხი ჩამოტეხა და მიჩ-
ვენა.

— შაქარი! — ვიყვირე მე და ნატეხი გე-
ლოკე, მაგრამ ის ტკბილი არ იყო.

მამამ გაიცინა და მითხრა:

— ეს ქვა მართლაც შაქარს ჰგავს, მაგრამ

შაქარი არ არის, მარმარილოა. მარმარილო-
საგან ქანდაკებებს აკეთებენ.

მარმარილოს ნატეხი ჯიბეში ჩავივდე.
როცა დამდებოდა, ჩემი ჯიბეები და მა-
მას ზურგჩანთაც სასარგებლო ქვევით იყო
სავსე.

ასე გადიოდა დრო.

— ექვ!—თქვა ერთ დილას მამამ,—გათავ-
და ზაფხული.

— ჰო!—თქვა ბექნუმ,—უკვე შემოდგომაა.
თბილისში უნდა დავბრუნდეთ, გუგა! —
მითხრა მამამ და ბარგის ჩალაგება დაიწყო.

— გაისად ხომ კიდევ ჩამოხვალ?—მკითხა
ბექნუმ.

— აბა რა!—ვუპასუხე მე,—ჩემი მამა გეო-
ლოგია!

ბექნუმ გაიცინა და მკითხა:

— შენ ვინ უნდა გამოხვიდე, ჰა, ბიჭო?

— მეც გეოლოგი ვიქნები!—ვთქვი მე,—
არა, მამა?

მამა ზურგჩანთაში ქვევს ალაგებდა, მერე
შემომხვდა და მითხრა:

— გუგა, სულ ერთია, გეოლოგი იქნები,
ექიმი თუ კოსმონავტი. მთავარია, კარგი ბი-
ჭი იყო. გაიგე?

მე მამას თავი დავუქნიე და ბექნუს კარ-
ვის ლაკეცვაში მივხვარე.



ნახატები ბ. თოთიაშვილის



დიდი ჯიბო

ლევანთი ფიჭინაძე

- ახლა პატარა ჯიბო აღარა ვარ!
- დილას თუკი პატარა იყავი, ამ საღამოს რამ შეგცვალა?—გაკვირვებით შეეკითხა დედა.
- მესამე კლასში გადავედი, მესამეში აბა, სულ პატარა ხომ არ ვიქნებოდი?
- ჰოო, ეგ კი აღარ მახსოვდა. დღეიდან შენ მართლაც დიდი ჯიბო ხარ!—კვეერი დაუკრა დედას.
- სწორედ იმ დღეს, როცა სწავლა დამთავრდა, პატარა ჯიბო დიდი გახდა.
- ერთ დილას სამსახურში მიმავალ მამას ჯიბო შეეხვეწა.
- მამა, დღეს რვეული მიყიდე!
- ბიჭო, რა დროს რვეულია, გუშინწინ არ დაგიბოლოეს? რვეული ჯერ რად გინდა?
- როგორ თუ რად მინდა? მასწავლებელმა დღიურების წერა დაგვაგვალა. რვეული თუ არ მექნება, რაში ჩავწერ? ვინ იცის, ამ ზაფხულს რამდენ რამეს ვნახავ.
- ჯიბომ მასწავლებლის დავალება რომ ასრულა, მამას გაეხარდა და შვილს უთხრა:
- ახლა კი მჯერა, რომ მართლა დიდი ჯიბო ყოფილხარ!



წვიმაში

ჩემთან რაღა გაშინებს,
 რატომ წივი, წიწილო,
 წვიმა ვერ დაგასველებს
 თუნდ მთელი დღე იწვიმო!

ხედავ, ქოლგა ლამაზი
 თავზე გადაგაფარე,
 ვიცი, წვიმა აშინებს
 შენისთანა პატარებს!



რა ატირებს

რა ატირებს გიას
 ვეღარ გამივია,
 ძლივს ავაგვთ სახლი,
 თვითონ დამინგრია!



უპოვო სისქნა რედაქტორი

ზღაპრი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ციციქა დედაბერი და ცხოვრობდა ერთი ციციქა ქოხში. და აი, ერთ დღეს დედაბერმა მოიქსოვა ერთი ციციქა კოკროქინა ქელი, დაიხურა ერთი ციციქა თავზე და წავიდა სასეირნოდ. ჰოდა, როცა დედაბერი მიდიოდა ერთი ციციქა ბილიკზე, მიაღწა ერთი ციციქა ჭიშკარის გააღო დედაბერმა ჭიშკარი და გავიდა ერთი ციციქა მინდორზე. დაინახა, რომ ჭიშკარის უკან ადგია ერთი ციციქა ძვალის დედაბერი დაფიქრდა და თქვა:

— ამ ერთი ციციქა ძვალისაგან ერთი ციციქა წვეწვანს გავაკეთებ და ერთი ციციქა გახმამი შევწვამო!

ჰოდა, დედაბერმა ჩაიღო ძვალი ერთი ციციქა უბეში და ერთი ციციქა ნაბიჯებით გასწვია თავისი ქოხისაკენ.

და აი, როცა მიაღწია ჭიშხს, დედაბერმა ავრანო ერთი ციციქა დალილი რომ იყო, ძვალის ერთი ციციქა თარიზე დაღო. ჩაწვა

მეტი ჭიშხნაძე

ოღონო-ჩოღონო ლეღეში წყალი გოგრას აბრუნებს. მეწვისქვილე ფისუნა დინჯად ელის თავუნებს.

აბა, სად გავიწვია ამისთანა ამბავი! უქმად ბრუნავს დოღები, არვის მოაქვს საფუძველი

მ ე ნ ი ს ქ ვ ი ც ა

ფისომ მადარ ჭეპარბე თვალი მოჰკრა ყვანჩალას: — გზას გაჰხევე, ყვანჩალავ, თავუნები არ ჩანან?—

ემშაყუნა მეზობელს სურდა გმირის გამოცდა: — თავუნები არა და ერთი ძალღი გამომჩნდა!—

თქვა და ყვავი იმ ხიდან გადმომვარდა ჭირქილით. მეწვისქვილე მამინვე მიატოვა წისქვილი.



თავის ერთი ციციქა ლოკინში და ერთი ციციქა წვიძინა. უცხად თაროდან ერთი ციციქა ხმა მოესმა:

— დამბორუნე ჩემი ძვალო!
— ამ ხმამ გააოცა ერთი ციციქა დედაბერი, დაიხურა ერთი ციციქა საბანი თავზე და ძალი განავრდო.
— დამბორუნე ჩემი ძვალო!— ეკლავ მოესმა ხმა.
ამხვე უფრო შეწუხდა დედაბერი. თავი უფრო ღრმად ჩარგო საბანში და ისევ დიძინა. მაგრამ წუთით ჩაძინებული დედაბე-

რი უფრო ძლიერმა ხმამ გამოაღვიძა.
— დამბორუნე ჩემი ძვალო!
ამან კიდევ უფრო გააოცა დედაბერი. გა-
მოჰყო თავი საბნიდან და რაც ერთი ციცი-
ქა ძალა და ღონე ჰქონდა, იყვინა:
— თარიზე, წვილე შენი ძვალო!

ინგლისურიდან თარგმნა მ. კარჩავამ
საბავსები 3 ველამედიონსა



მზე

კახიანი სკამი
აკალებსკის

მთაწარე დედამიწის „მეზობელი“ სხეულია კოსმოსში. საბჭოთა იდამიანმა მის მოახვედრა რაკეტით გატყუარებული სხეული—ალამი, რომელიც 1959 წლის სექტემბრიდან სთავის ზედა-ქირზე მწვინდალ ძვებს.


შეიძლება თუ არა ისეთივე ალამი სტოპ-ცნოს იდამიანმა მზეს— ჯერნს მზარწუნავ დღის მნათობს?

მზე, დედამიწისა და მთავარს მსგავსად, მრავალი, სფეროს მოცენილობის სხეულია მზე-ქამ იმდენად დიდია, რომ მოცულობით მილიონ-ჯერ და უფრო მეტადაც აღემატება დედამიწას. ზესწრაფი თვითმფრინავი დედამიწის ირ-

გვლავ შემოფრენს ირ დღე-ღამეში მოასწრებს, მზის გარშემო შემოფრენისათვის კი მის ორას-ორმოცი დღე-ღამე დასჭირდება.

თუ ანე დიდი უფილა მზე, რატომ მოჩანს იგი ცარგვალზე პატარა, მთავარისოდენა ბადროს სახით? იმიტომ, რომ იგი ჯერნავან გაცილებით უფრო შორისა, ვიდრე მთაწარე-ალამმა, მზეს რომ მიიღწიოს 400-ჯერ უფრო გრძელი გზა უნდა გაიაროს, ვიდრე მისი გზა იყო დედამიწიდან მთაწარემდე.

ღებთ მოხარულედ მგზავრი მზემდე მარვლას 350 წელიწადს მოინდომებდა! ჭებრა მატარებელი მგზავრობისას მას დასჭირდება 200 წელიწადმდე! სწრაფი თვითმფრინავით კი—20 წელიწადში. მხოლოდ რადიოგადასა ან სინათლის სხივი ერთაბ დიდი სიჩქარის გამო მზეს რვა-ნახევარი წუთში მიადგენებს. ეს ვეება მანძილი თითქმის 150 მილიონი კილომეტრია, და მინაც საბჭოთა მეცნიერებასა და ტექნიკას შესწევთ უნარი მზესაც მისწვდნენ, ბეტორცინონ და დას-ცენ მასზე ალამი.



ჭანქაცი



მაგრამ, რა მოუვი ამ ალამს მზეზე? მასინე დაიწვოს, რითქლად აქცევა. მზე იმდენად ცხელი, გავრავრებული სხეულია, რომ მთელი ნიე-თიერება მასში არამც თუ გასლვდა, არამედ გაზოდ ქვეულა.

ასეუ პირობებში მზე მღვლვარებს, მოძრობს და ზობიკობს. მის ზედაპირზე წნდება უზარ-მისარი ძაბრისებრი „ლაქები“, სიოდნაც ამო-ფრქვევა გავანტრი „შადრევენბი“.

მზე უამრავ სიბოხსა და სინაოლეს გამოს-ხივებს. ამით იგი დედამიწაზე უველა არსებია-თვის სიცოცხლის წყაროს წარმოადგენს. ად-მიანს, ცხოველითა სანფოს, მეცნარეულთა სამ-უაროს—უველას მზე ასაზრდოებს თავისი სი-ბოთი და სინათლით.

ამასთანავე, მზის სხივებში იმალება ჯერ კი-დეუ გამოუყენებელი ენერჯიაც. მეცნიერები და-ბეუჯობითი შერისწალოან მზეს, დეუფლებიან მის სიადრულობებს და სრულიად გამოუყენებენ ტექნიკაში მისი გამოსხივების ძილას. ამით კი უფრო კეთილმოწყობილი და ნათელი გახდება ჯერნი ცხოვრება.

ნახატები კ. კახიანი



ნახატები-სურათები კ. კახიანი

ღრუტუნას გუბა

მერი გოლუაძე

ნახატები ბ. შოხნივილისა

ღრუტუნამ ეზოში დიდი დინგით მიწის თხრა დაიწყო: იხვის ჭუკებს საცურაო გუბე უნდა გავუმართოო. თხარა, თხარა და პატარა ორმო ამოთხარა.

წყალი?

ცარიელი ორმო ვის რად უნდა?

ღრუტუნამ ორმო ამოთხარაო, იხვის



ჭუკებისათვის საცურაოს ამზადებსო, წყალია საჭიროო, მოიფიქრეს ღრუბლებმა და მოგროვდნენ ცაზე:

- წკაპ, წკაპ, წკაპ!
- წკუბ, წკუბ, წკუბ!—მოიყვანეს წვიმა.

წვიმის წყლით აივსო ორმო,—ესეც საცურაო.

იხვის ჭუკებმა გაიხარეს,—ეს რა კარგი საცურაო გავვიკეთა ღრუტუნამ, აქვე ეზოში, შორს წასვლა არ დაგვჭირდებაო,—ჩანტნენ გუბეში და პატარა ფრთები ააფართხუნეს.



ღრუტუნამ უყურა, უყურა ქუცების
ქუცმპალობას და თვითონაც მოუნდა
ბანაობა.

— რა კარგია ახლა იქ გაგრილება!

— ღრუტ, ღრუტ, ღრუტ, ამოდით
გუბიდან, ახლა მე უნდა ჩავწვევ, სულაც
ჩემი გათხრილი არაა!— გაუჯავრდა იხ-
ვებს.

ღრუტუნამ ქუცები გაყარა და თვი-
თონ ჩაწვა გუბეში, გადაბრუნდა-გად-
მობრუნდა ღრუტუნით და ხენეშით, სულ
ამღვრია წყალი, აატალახა; გუბე ქუც-
ყიან წუმბედ აქცია.

— ღრუტუნია, ერთი პატარა გუბე
როგორ დაგენანა ქუცებისათვის?— ჩამოს-
ძახა ჩიტუნამ ხიდან ღრუტუნას.

— მერე, ხომ არ ვართმევ, ამოვალ და
რამდენიც უნდათ, იბანანო, ვინ უშ-
ლით?— აიმრიზა ღრუტუნა.

— ვის რაღად უნდა, შე გაბერილო,
ეგ შენი წუმბე? ბანაობა თუ გინდოდა
მდინარეზე ვერ წახვედი, რაღა პატარა
ქუცებს შეეცილე ბანაობაში!— დაიქუხეს
ღრუტუნებმა და გაჯავრებულეებმა ცა
დატოვეს.

გამოჩნდა მზე. ეზოში რა უნდა წუმ-
ბესო,— გაჯავრდა ძალიან, გამოგზავნა
სხივები ციდან და ხელად ამოაშრო.



ლილი ნუშაბიძა
**დათუნა და
თაფლი**

ბზბ, ბზბ, ფუტბარო,
წადი, თქვენებს უთხარო,
დამზადონ თაფლი,
გამოფილებ თათით!

ვიუ რა გემირილია,
აბა, ღელი, ღელი...

პაიტ, დათო, დათუნა
თაფლი უნდა ხათუნას!




**აბრეშულის
ჭიკვო**

შარიშური, შარიშური,
იშრიალე, აბრეშუმო,
გშოათ, ჩემო პატარებო,
ხედის გულით სატარებო?

მე მოგიტანთ ფოთოლს
მწვანესა და ღორტიქოს.

იშრიალე, აბრეშუმო,
ტყეში უნდა გავეშურო,
დანატული კონტა კაბა
ჩემთვის აღარ დაგეშუროს.





თეთრი ჩოჩო

(არგენტინული სალხური ზღაპარი)

არგენტინაში ცხოვრობდა ერთი თეთრი ჩოჩო. სულ მთლად თეთრი იყო, გრძელი ბეწვი და ბანჯგვლიანი ფეხები ჰქონდა. ისეთი პატარა იყო, რომ სათამაშო გეგონებოდათ.

ჩოჩოსი პატრონი მდიდარი და ბოროტი კაცი იყო. ასეთი პატარა სახედარი არაფრად გამოსადგებოდა და ამიტომ მისი გაყიდვა გადაწყვიტა.

ჩოჩოს შეეშინდა და იფიქრა: მოდი, ღამე ფარდულიდან გავიპარებო.

მართლაც ასე მოიქცა. კარები გაანგრია და მოჰკურცხლა.

ჩოჩო მთელი ღამე ქალაქის ქუჩებში დაეხეტებოდა, ხან ბაღებში ისვენებდა, ბოლოს კი სათამაშოების მაღაზიას მიაღწა. აღტაცებული

გაჩერდა მაღაზიის გაკაშკაშებულ ვიტრინასთან. რა არ იყო იქ: სპილოები, დიდთვალება დედოფლები, ბიჭებისათვის ვერცხლის საყვირები, საბავშვო რკინიგზა, გრძელფაფიანი ცხენები! ჩოჩომ იფიქრა, იფიქრა და ვიტრინაში გადაძვრა. სათამაშოებს ძალიან გაეხარდათ მისი სტუმრობა. ისიც მათ შორის მშვენივრად გრძობდა თავს.

ღილით მოვიდა ნოქარი და გააღო მაღაზია. —აი, ახალი სათამაშო!—თქვა და ჩოჩოს ფასდაწერილი იარლიყი ქელზე ჩამოჰკიდა.

უნდა ითქვას, რომ ძალიან დიდი ფასი დააღო! იმ დღიდან მაღაზიასთან განუწყვეტელი თავს იყრინდნენ ბავშვებიც და მოზრდილებიც. გოგო-ბიჭები მშვენიერ სათამაშოს დანახვაზე ტას უკრავდნენ.



ეყიდათ თეთრი ჩოჩორი. შეგაროვეს რაც ფული ჰქონდათ, ნაწილი მეზობლებისაგან ისესხეს და კოკორს უთხრეს, რომ ნატვრა შეგისრულდებოდა.

აი, დადგა სასიხარულო დღეც! მთელი ოჯახი სათამაშოების მალაზიისაკენ გაეშურა. შესანიშნავი დღე იდგა. მზე კაშკაშებდა, ხის ტოტებიც ირხეოდნენ, თითქოს მათ ესალმებოდნენ. როდესაც თეთრი ჩოჩორი იყიდეს, კოკორს უნდოდა ხელი ადვირში ჩაევლო და ისე წაეყვანა, მაგრამ ჩოჩორი გაჯიუტდა. ბოლოს თვით კოკორი მიუხვდა სახედარს გულის წადილს: ახალი პატრონი თავმომწონედ შეეჯდა ზედ და ისე წავიდა სახლში.

ამის შემდეგ ჩოჩორი კოკორის ოჯახში ცხოვრობდა, ეშველებოდა მათ შეშისა და წყლის ზიდვაში, თავისუფალ დროს კი ასეირნებდა გოგონებსა და ბიჭებს.

თარგმანი ე. სიბაშვილისა
ნახატები ზ. შოკრჩიძისა

ჩოჩორიც ამაყად იტერდა თავს, რადგან ყველას უყვარდა. მის გვერდში მყოფმა სათამაშოებმაც სიამაყით ცხვირი მაღლა ასწიეს, მაგრამ სიძვირის გამო ჩოჩორს არაფერს ყიდულობდნენ.

ერთხელ, საღამო ხანს მალაზიაში დედასთან ერთად ბიჭუნა მივიდა. ბიჭუნას ერქვა კოკორი. კოკორმა, როცა პატარა სახედარი დინანსა, აღტაცებით წაიჩურჩულა:

— დედა, არასოდეს მეგონა, რომ ქვეყნად ასეთი შესანიშნავი ჩოჩორი იქნებოდა.

— ეჰ, ძალიან ცოტა ფული გვაქვს, — ნაღვლიანად უთხრა დედამ.

იმ ღამეს კოკორს არ სძინებია, სულ სახედარზე ფიქრობდა და დილით მამასაც შესჩივლა. დედამას შეეცოდა შვილი და გადაწყვიტეს,



გიორგი ბელაშვილი

ლოკინში ჩათბუნებულმა ბიჭუნამ სა-
ვეარელო წიგნი კითხვით დაღალა და
გვიან დაძმედ არ შეეშვა. ბოლოს მანაც
წიგნმა შეიბრალა ზატარა შწიგნობარი
და ტკბილი ძილი მიტკვარა. თან კიდევ,
ბიჭუნა რომ სინათლეს არ შეეწუხებინა,
იმდენი სიკეთეც გამოიჩინა და იმარჯვა
წიგნმა, ფრთხილად წაწვა და ფუძეულა
სახეს საჩრდილობლად გადაუფარა.

ნახატები მ. ოპინიშვილისა



ჭირბოძა შინა

სამაგი მინაქოვი

აბეზარა და ციკნარქებიან ბეკეკას
საკმე არაფერი ჰქონდა და ყველას ეხვე-
წებოდა:

- ჭილაობა მინდა, მოლი, ვიჭილაოთ!..
- მომეწვი! — უთხრა ინდაურმა და
განზე გადავა.
- მოლი ვიჭილაოთ! — გადაეკიდა ახლა
გოქს.
- დამეხსენი! — უპასუხა გოქმა და ტო-
ლახში ჩაწვა.

ბეკეკამ ბებერ ცხვართან მიიბრინა.
— მოლი ვიჭილაოთ!
— თავი დამანებე, შენთან ჭილაობას
არც ვიკადრებ.

— თუ ბიჭი ხარ, მოლი, ვიჭილაოთ! —
გაბრაზდა ბეკეკა.
ცხვარი გაჩუმდა და იჭაურობას გას-
ცილდა. ბეკეკამ ლეკვი დაინახა:

- აბა, მოლი, ვიჭილაოთ!
- მოლი! — გაეხარა ლეკვის და ბეკე-
კას მწარედ უკბინა ფეხზე.
- მოიცა, — ატირდა ბეკეკა, — მე ჭი-
ლაობა მინდა, შენ რას სჩადიხარ?

— მე კენა მინდა! — შეწყვეთა ლეკვმა
და კვლავ ეცა ფეხში.

თარგმანი ფ. ბერიძისა





ქანჭიკელა რაკეთი გაფრინდა მარსზე
 ზე მარამ დავიწუღა თან წაველთ
 კლსმიური რუკა.
 ბავშვებო, დაეხმარეთ ქანჭიკელას
 ფრინდეს მარსზე.



ა. ამოიხაზილი

წვიმა

წვიმა მოდის, წვიმა მოდის,
 კოკო, რატომ ტირი?
 მზე ზიჩის იბანს, იმიტომ რომ
 შენც დაგებანოს ზირი!



ნახატები ბ. სირამიანიძისა

ოსტატი

— წამო, ვითამაშოთ,
 გესმის, ბიჭო, მერაბ?
 — დამხეებუ თავი
 ჩემს ფეხსაცმელს კეკრაუ!



მატყუარა

— ვინ შეჭამა უურძენი,
 ვინ შეჭამა თხილი?
 — აკურ, გარბის კურდღელი
 შურებაცქვეტილი!



მკაცრი



თქვენს

მოთა სასწავლო

ნახატი მ. ჯიშაკაძისა

კიბეზე პატარა მარიკელა შემხვდა. ვეებერთელა თოჯინას მოათრევდა, რომელსაც ჯერჯერობით ხედ-ფეხი თავთავის ადგილზე ჰქონდა, ხოლო თმა კი ძირში გადაეკრიბა.

—რატომ გადაკრივე თოჯინას თმა?—ვკითხე მარიკელას.

—იმიტომ, რომ ჩვენს მეზობელ ნინიკოსაც გადაკრივეს და დედაკომ ასე უთხრა, გაზაფხულზე უკეთესი ამოგივალ.

—მერე?



—ჰოდა, მეც მინდა, რომ ჩემს თოჯინას გაზაფხულზე ახალი, დამაზი თმა ამოუვიდეს.—თქვა და თოჯინას გაკრეჭილ თმაზე გადაუსვა ხელი. შემდეგ შემოძხენდა და მკითხა:

—ბიძია ზურაბ, როდის მოვა გაზაფხული?

—მადე, ძალიან მადე.

გახარებულმა მარიკელამ შემომცინა და კიბეზე ხტუნვა-ხტუნვით დაემხა.

რა შესრობებია?!



მზივი ჟიჟინაძე

გაგაოცებთ
გოგო-ბიჭებს,
კუტია და
თაგვებს იჭერს!

დაბტის
ალთა-ბალთას,
მუცელზე აქვს
ჩანთა.



პენარა ბალაშვილი

შეუსვენებლად მუშაობს,
თვალს არა ხუტავს წამით,
არც დაღლილი იცის, არც ჭამა,
არც ეძინება ღამით.



რედაქტორი **შანსულ ჩარკვიანი**, ხარედაქციო კოლეგია: **მ. გიგეხიძე**, **კ. გომიზიანი**, **ჯ. ლოლუა**,
ვაჟაბაძე შარვალიშვილი (რედაქტორის მოადგილე), **შ. ნინუა**, **შ. ცხადაძე** (ხაზატგრო რედაქტორი) **რ. ბიშივილი**.
 ხაქართველთა ალკე ტერატალური კომიტეტისა და ვ. ი. ღენიანი ხაქელთის ნორკ პიონერთა ორგანიზაციის
 რეზბულტიკური საბჭოს ტურნალი

ყდის მხატვრობა ეკუთვნის **ჯემელ ლოლუას** ტაქრედაქტორი ბ. რიგვიანი
 გამოცემის ოცდამეფიდეტე წელი. რედაქციაში შენოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ.
 გამოცემის "ნაბაღლი", გამოც. შვედ. № 422, სტამბის შვედ. № 1482, ტარაფი 3000, ხელმოწერილია დასაბჭედად 3/VI-1964 წ.
 ტურნალი დაბეჭდილია პოლიგრაფულ კომპანტ აკონუნსტში, ღენის ქ. № 14 „Д.Л.А.“-ს გუზნიეკი ეზმე. ტენისი, პროს. ხეჩიკოვა № 91.
 რედაქციის მისამართი: თბილისი, ბუხნაძის ბროსი, № 91, ტელ. 5-37-38. - შანი 20 ტბა.

687/103



აი, ამ ხელსაწყოებით ამოკრა
ჩ წლის ზურაბ ნადირაძემ (თბილისი)
ლინოლიუმზე ეს ნახატები და ამობეკ-
და ქაღალდზე. ასეთ ნამუშევარს ლი-
ნოგრაფიურას უწოდებენ.

